აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებად უნდა წარადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულოს სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებული იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და პროექტის მე-5 პუნქტში სიტყვების „დადგენილ ვადაში“ დამატების მიზანშეწონილობის საკითხზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ნინო ზაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, II მ/რ, კორპუსი N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება ლილო, სტურუას ქუჩაზე მდებარე 2 113 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან (შემდგომში - საპროექტო მიწის ნაკვეთი) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 2 თებერვლის და 6 მარტის განცხადებებით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.9), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ აგარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების



მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე, უფრო ზუსტად კი, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.9-მდე, რაც გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 9 (ცხრა) სართულიანი შენობის განთავსებას, ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები.

როგორც ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენს - 825 460 ლარს, ხოლო, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.9-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 462,257.60 (ოთხას სამოცდაორი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი და სამოცი მეასედი) ლარს, აგრეთვე, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2023 წლის 20 ივლისის წერილობითი პოზიციით, თბილისის აეროდრომის დაცვის არეს ფარგლებში საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებასთან დაკავშირებით, დაჩრდილვის მეთოდის გამოყენებით, დასაშვებია იმ სიმაღლის მქონე ობიექტის მშენებლობა, რომელიც საშუალო ზღვის დონიდან არ აღემატება 547.31 მეტრს, ხოლო, სამშენებლო მოედნის შემადგენლის გათვალისწინებით - 29.22 მეტრს. ასევე, მშენებლობის პროცესში დროებით გამოყენებული ამწეს შემადგენელი და გამოყენების პირობები საჭიროებს დამატებით შეთანხმებას სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5 დან კ-2=3.9 მდე, რაც გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთზე 9 (ცხრა) სართულიანი შენობის განთავსებას, ნაცვლად - 7 (შვიდი) სართული;

- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდება გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

- დაინტერესებულმა პირმა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 462,257.60 (ოთხას სამოცდაორი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი და სამოცი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდეზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ



არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, განსაზღვრული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითების მიზანშეწონილობისა და პროექტის მე-4 პუნქტში სიტყვების „დადგენილ ვადაში“ დამატების მიზანშეწონილობის საკასხეხსე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის 2 წლით გახანგრძლივების საკითხზე თანხმობის მიცემას.

მომხსენებლის მითითებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2018 წლის 27 ნოემბერს „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმდა სასესხო შეთანხმება 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობით, რის შემდგომაც, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის 2019 წლის 6 მარტს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას. დავით ჩანქსელიანმა აქვე დასძინა, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის არსებულ სასესხო შეთანხმებაში 2021 წლის 01 ივლისს, განხორციელდა ცვლილება რის შესაბამისადაც, „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ დამატებით გამოყოფილ იქნა 3 030 000 (სამი მილიონ ოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის სესხი (შემდგომში „დამატებითი



თანხა“), და ჯამურად სესხის სახით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 18 030 000 (თვრამეტი მილიონ ოცდაათი ათასი) ევრო.

მომხსენებლის განმარტებით, სასესხო შეთანხმების შესაბამისად, სასესხო ხელმისაწვდომობის ვადა იწურება 2024 წლის 01 ივლისს, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განხორციელებს მიმართვა ფინანსთა სამინისტროსთან, რათა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD), შეთანხმების შესაბამისად, გამოიჩინოს ინიციატივა და მოხდეს სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

დავით ჩანქსელიანმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ დეტალებზე: თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი სამ კომპონენტია და მოიცავს:

- ავტოპარკის განახლებას; გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაციას;
- ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას.

მომხსენებელმა თხრობა განაგრძო და დასძინა, რომ პროექტის განხორციელებისას გამოკვეთილი არსებითი შემაჯერებელი გარემოებების გამო, ვერ განხორციელდა სესხის სახით გამოყოფილი თანხის სრული ათვისება, მისივე მითითებით, ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, შეირჩა საკონსულტაციო კომპანია “Geo Consultants”-ი, რის საფუძველზეც, 2019 წლის 10 აპრილს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და “Geo Consultants”-ს შორის საკონსულტაციო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კონსულტანტების მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტია, 2020 წლის 23 ივლისს გამოცხადდა ტენდერის პირველი ეტაპი საოპერაციო მანქანებისა და სპეც-ტექნიკის შესყიდვის მიზნით და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წესების შესაბამისად, ტენდერის მე-2 ეტაპზე უნდა გადასულიყო მინიმუმ 2 პრეტენდენტი, რაც ვერ მოხერხდა, აღნიშნულის გათვალისწინებით, ტენდერი გაუქმდა და ხელშეკრულებით მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე, 2021 წლის 16 მარტს გამოცხადებულ იქნა ტენდერი.

დავით ჩანქსელიანის განმარტებით, გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაციის, ასევე, ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD) მიიღო გადაწყვეტილება შეეჩერებინა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ვინაიდან, ჯერ კონსულტანტების მიერ შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიში (Feasibility Study) არ აკმაყოფილებდა ბანკის მოთხოვნებს, ასევე, ნაყური წყლების პროექტთან დაკავშირებით, მიღებული საინჟინრო გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ აწარმოა მოლაპარაკებები სხვადასხვა კონსულტანტებთან, ნაყური წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, დავით ჩანქსელიანმა დაამატა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ მოხდა საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა, რომელიც ახორციელებს თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას (Feasibility Study).

მომხსენებლის მითითებით, 2022 წლის 1 კვარტალში გამოცხადებული გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის ტენდერი ჩაიშალა, დონორსა და თბილსერვის ჯგუფს შორის გაიმართა მოლაპარაკება მომხდარიყო ჯერ კონსულტანტის ჩანაცვლება GWCC BBVA-ი კომპანიით, კონსულტანტების მიერ რეკომენდირებული ტექნიკური მოთხოვნის შეფასებისა და რეკვალიფიკაციის მიზნით, ხოლო, 2023 წლის მე-4 კვარტალში ხელახლა



გამართული სატენდერო პროცედურით, წარმატებით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და ახლო მომავალში იწყება გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები, ამასთანავე, დასძინა, რომ სესხის მეორე კომპონენტზე, ნაჟური წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტენდერის ტექნიკური მახასიათებლებისა და საინჟინრო გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება დაევალა GWCC BBVA-ს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური მახასიათებლების დამუშავება და 2024 წლის მე-2 კვარტალში იგეგმება სატენდერო პროცედურების გამოცხადება.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დონისძიებებიდან გამომდინარე, ვინაიდან, პროექტი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების განხორციელებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულის 2 (ორი) წლის ვადისა გახანგრძლივება, ხოლო, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 22 თებერვლის N24.287.330 განკარგულების მითითების მიზანშეწონილობისა და განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის შესახებ.

მომხსენებელმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-9 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე 4 (ოთხი) მიწის ნაკვეთის ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტისათვის“, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით, განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით პრივატიზების საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.



მარიამ კვერნაძემ ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2023 წლის შესაბამისი განკარგულებებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების საკითხი, ხოლო, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად:

- საპრივატიზებო ქონებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე ჯამში - 11008 კვ.მ.
- საპრივატიზებო ქონება გამარჯვებულ პირს საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის პირობებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით;
- ინტერესთა გამოხატვის პირობები შეიცავს დათქმას უძრავ ქონებაზე არსებული რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობების თაობაზე, ასევე, საპრივატიზებო ქონების ნაწილზე (ჯამში 672 კვ.მ-ზე) რეგისტრირებული იყო საჯარო სამართლებრივი სერვიტუტი;
- საპრივატიზებო ქონების ნაწილი სავარაუდოდ დაკავებულია თვითნებურად;
- საპრივატიზებო ქონების სამშენებლოდ განვითარება და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობა უნდა განხორციელდეს შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით: ა) ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) - 5.0;
- გამარჯვებული პირის მიერ, გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების მინიმალური საერთო ოდენობა შეადგენს არანაკლებ 9950 (ცხრა ათას ცხრაას ორმოცდაათი) კვ.მ.-ს;
- გადასაცემი საერთო ფართის ფართობი არ მოიცავს აივნების ფართს. აივნის ფართი ქონების მიმღებ პირებს გადაეცემა გადასაცემ საერთო ფართზე დამატებით უსასყიდლოდ;
- მხარეებს შორის დაიდება შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულება გამარჯვებული პირისათვის საპრივატიზებო ქონების საკუთრებაში გადაცემისა და პროექტის განხორციელების თაობაზე, რითაც, დეტალურად განისაზღვრება/დაზუსტდება პროექტის განხორციელების პირობები, ვადები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობის და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი.
- ინტერესთა გამოხატვის შედეგების დამტკიცებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, საკითხი უნდა შეთანხმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს წინაშე.
- პროექტი სრულად უნდა განხორციელდეს გამარჯვებული პირის ხარჯით/მის მიერ მოზიდული სახსრებით;
- პროექტის ფარგლებში უპირატესად განიხილება ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში არსებულ, N01.19.20.025.007, N01.19.20.025.008, N01.19.20.025.010 და N01.19.20.025.012 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე



საცხოვრებელი დანიშნულების მრავალბინიანი ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა შესაბამისი ფართებით დაკმაყოფილება;

▪ თითოეული სანაცვლო კორპუსის პროექტში მონაწილეობა მოიცავს მისი მესაკუთრეების მიერ ამ კორპუსზე საკუთრების უფლების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემას, პროექტის ფარგლებში შესაბამისი ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ. შესაბამისად, თითოეული სანაცვლო კორპუსის პროექტში მონაწილეობა საჭიროებს მისი ყველა მესაკუთრის წერილობით თანხმობას;

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემომითითებულ ინტერესთა გამოხატვის პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდზე (www.tbilisi.gov.ge) 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 02 თებერვლის ჩათვლით, გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გაიმარჯვა შპს „ლიტ ჯეო ინვესტმა“, რომელმაც წარმოადგინა შეთავაზება ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული ქონების მიმღები პირებისათვის გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობის (აივნების ფართების გათვალისწინების გარეშე) თაობაზე - 9950 კვ.მ.-ს ოდენობით, ასევე, საგარანტიო თანხა - 5 500 000.00 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი ლარის ოდენობით), რაც ძალაშია 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით და უზრუნველყოფს: პრინციპალის მიერ ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადებისა და ინტერესთა გამოხატვის შედეგების საფუძველზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, ასევე, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განსაზღვრულ ვადაში შესრულებას (მათ შორის: სანაცვლო კორპუსების მესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური ფართების შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებას და მათი სააგენტოსთვის წარდგენას, სანაცვლო კორპუსების მესაკუთრეთათვის გადასაცემი ბინა ერთეულების მახასიათებლების დაზუსტებასა და პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით, სააგენტოსთვის აღნიშნულ პირთა მიერ გაცემული ნოტარიული წესით დამოწმებული წერილობითი თანხმობების წარდგენას, პირველ ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, მშენებლობის დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას; ქონების მიმღები პირებისათვის გადასაცემი ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემას ხელშეკრულებით შეთანხმებულ (მათ შორის, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, გარემონტებულ) მდგომარეობასა ვადებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას) და ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

მარიამ კვერნაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების მიზნით, წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად, ასევე წარმოდგენილ იქნა მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, შემდეგ პირობებს/ლონისძიებებს:

✓ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართებით, უპირატესად განიხილება საპრივატიზებო ქონების მიმდებარედ არსებულ, №01.19.20.025.007, №01.19.20.025.008, №01.19.20.025.010 და №01.19.20.025.012 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (შემდგომში: ჩასანაცვლებელი კორპუს(ებ))



მდებარე საცხოვრებელი დანიშნულების მრავალბინიანი ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა (შემდგომში: დასაკმაყოფილებელ პირები) დაკმაყოფილება.

✓ პროექტში მონაწილეობაზე აღნიშნულ პირთა თანხმობების მოპოვების, მათ საკუთრებაში არსებული ქონების აზომვითი ნახაზების მომზადების და მათთვის გადასაცემი ფართების პარამეტრების დადგენის მიზნით, კომპანიას მიეცემა 3 (სამი) თვიანი ვადა;

✓ თუ კომპანიის მაქსიმალური ძალისხმევით მიუხედავად, ამ ვადაში შესაბამისი მოლაპარაკებების წარმოება და სრულყოფილი დოკუმენტაციის მოპოვება/წარმოდგენა ვერ განხორციელდა, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს პროექტი და კომპანიას დაუბრუნოს საბანკო გარანტია, ახ განსაზღვროს სხვა ჩასახაცვლებელი კორპუს(ებ)ი და მათ მესაკუთრებთან მოლაპარაკებების წარმოების მიზნით, განსაზღვროს შესაბამისი ვადები;

✓ ზემოაღნიშნული მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისა და შესაბამისი სრულყოფილი დოკუმენტაციის მოპოვების/წარმოდგენის შემთხვევაში, დასაკმაყოფილებელი პირებისათვის გადასაცემი ფართების სააგენტოს მიერ შეთანხმებიდან აითვლება შესაბამისი ლოტის სამშენებლო ვადები:

✓ ფართების შეთანხმებიდან 4 თვე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის;

✓ ნებართვის მოპოვებიდან 18 თვე კორპუსის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანისათვის;

✓ ნებართვის მოპოვებიდან 30 თვე მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში მიღებისათვის.

✓ გადმოსაცემ ფართებს კომპანია გადასცემს მუნიციპალიტეტს საპრივატიზებო ქონებაზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან, რომლის მშენებლობაც წინ უსწრებს სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობას (შემდგომში: პირველი ლოტი), „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში;

✓ საპროექტო ქონებას წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული უძრავი ქონება, რომელთა შორის, ზოგიერთი საკადასტრო ერთეული გაერთიანება განხორციელდა, ამასთან, მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და მოქმედებს აეროდრომის შეზღუდვის არეალი;

✓ ხელშეკრულების პროექტის თანახმად, კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, შესაძლებელია საბანკო გარანტიის ეტაპობრივად შემცირება. ამასთან, კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, ასევე შესაძლებელია საპრივატიზებო ქონებაზე წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების (გადმოსაცემი ფართების გამოკლებით) ეტაპობრივად გათავისუფლება საპრივატიზებო ქონებაზე რეგისტრირებული საპრივატიზებო ვალდებულებებისაგან.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ აღნიშნა, რომ პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 72-ე მუხლი უნდა მიეთითოს ზოგადი სახით.



ასევე, არჩილ გორდულაძემ ყურადღება გაამახვილა პროექტის პრეამბულას სტილისტურად გამართვისა და პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-10 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის I ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანართი N2, ახალი რედაქციით ჩამოყალიბების გზით.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ 2020 წლის 1-ელ ოქტომბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ N64-108 დადგენილების დანართი N1-ის სახით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები, ხოლო, აღნიშნული დადგენილების დანართმა N2 დაადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური“.

მომხსენებლის განმარტებით, მოცემული დადგენილების პროექტით წარმოდგენილ იქნა კონკრეტული მომსახურების საფასური, ესკიზები და ტექნიკური სპეციფიკაციები, რომელთა დამატება გახდა აუცილებელი შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ შესაბამის სამუშაოთა სრულყოფილად განხორციელებისათვის, ხოლო, პროექტით წარმოდგენილი დანართი N2-ის ახალი რედაქცია, სრულყოფილების მიზნით, ამატებს მომსახურების ახალ სახეობებს, მასალებს და მის საფასურებს, შემდეგი სახით:



✓ დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დანართ N2-ს, ემატება 5 ახალი პოზიცია, კერძოდ:

✓ იმ პოზიციებს, რომლებიც ითვალისწინებს „ლითონის მილის ჩადება კაბელის გასატარებლად“ ემატება 1 (ერთი) ახალი პოზიცია (30);

✓ იმ პოზიციებს, რომლებიც ითვალისწინებს „ლედ პროექტორის მონტაჟს“ ემატება 1 (ერთი) ახალი პოზიცია (114) და შესაბამისად, ემატება „ლედ პროექტორის“ ერთეული ღირებულება, რაც ასევე 1 (ერთი) პოზიციით (227) ზრდის დანართს;

✓ პოზიციები, რაც ითვალისწინებს ღორღვის კონტურის მოსაწყობად საჭირო მასალას“ ემატება 2(ორი) ახალი პოზიცია (306; 307) ჯამურად დადგენილებას ემატება, 5 (ხუთი) ახალი პოზიცია.

✓ 80-ე და 84-ე პოზიციებში, რომლებიც ითვალისწინებს „ქვიშა-ღორღს“, შეცვლილია ერთეულის ფასი, დღეის მდგომარეობით არსებული ფასების შესაბამისად, კერძოდ ინერტული მასალის ქვიშა-ღორღის ფასი განსაზღვრული იყო 28,79 ლარის ოდენობით და დღეის მდგომარეობით შეადგენს 65 ლარს.

მოხსენების მიწურულს, დავით ჩანქსელიანმა დასძინა, რომ დადგენილების პროექტით განსაზღვრული საკითხი, მოქმედ რედაქციასთან შედარებით, მთლიანობაში წარმოადგენს უფრო დეტალიზებულს, რაც თვალნათელს ხდის ყველა შესასრულებელ სამუშაოს, ამასთან, დამატა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

11. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება, მისივე განმარტებით, განპირობებულ იქნა შემდეგ წინაპირობათა გამო:

✓ დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მზარდია ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის



შემთხვევები, რომლის დროსაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, რაც ქმნის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადაყვანას დაექვემდებარებული, დარღვევით მდგომი სატრანსპორტო საშუალების განთავსებისთვის განკუთვნილი, სპეციალური დაცული სადგომის რაოდენობის ზრდის საჭიროებას;

✓ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირების მობილურობის მიზნით, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის მხრიდან, დროულად და ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიება, რისთვისაც მნიშვნელოვანია, დედაქალაქში, მარტივ და მოსახერხებელ ადგილებში არსებობდეს სპეციალური დაცული სადგომები.

ვასილ აბულაძის მითითებით, ტერმინი - „სპეციალური დაცული სადგომი“ დედაქალაქის ნორმატიულ აქტებში გაჩნდა მხოლოდ 2023 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის ტერიტორიაზე არსებული ზონირება, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, არ იძლევა, სპეციალური დაცული სადგომების განთავსების შესაძლებლობას მუნიციპალიტეტისთვის ხელსაყრელ ადგილებში, ვინაიდან, აღნიშნული ობიექტი არცერთ ზონაში არ წარმოადგენს კონკრეტული ქვეზონისთვის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვებ სახეობას, შესაბამისად, მითითებული სამართლებრივი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რითაც, აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ვ) ავტობუსის გაჩერებისთვის ან სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;“.

ვასილ აბულაძის განმარტებით, ზემომითითებული ცვლილებით, დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლით განსაზღვრული ფუნქციური ქვეზონებისათვის, დასაშვებ სახეობად, გარდა სხვა ღონისძიებებისა, ასევე წარმოდგენილი იქნება „სპეციალური დაცული სადგომისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;“, აღნიშნული პროექტის მიღება კი არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და პროექტი არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ამასთან, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

12. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-12



საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, რითაც, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ წესში შედის შემდეგი სახის ცვლილებები:

✓ წესის მე-3 მუხლში ემატება 3¹ პუნქტის დამატებით - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ , შპს „თბილისი ენერჯი“ , სს „თელასი“ და ამ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების (რომლის მოქმედების ვადა იქნებ არანაკლებ 1 (ერთი) წელი) საფუძველზე შესაბამისი სამუშაოს ჩატარებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები გათავისუფლებიან ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული საფასურის გადახდისგან.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნულის მომზადება, გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რომ მითითებული სუბიექტების - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს, შპს „თბილისი ენერჯი“-ს და სს „თელასი“-ს მიერ, დედაქალაქის მოსახლეობის მომსახურებით უწყვეტად მომარაგების პროცესში, მათ შორის ახორციელებენ დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავარიით ან/და გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ოპერატიულ სამუშაოებს, რა დროსაც ისინი მოქმედებენ მოქმედი დაჩქარებული მომსახურების ვადებისა და საფასურის გათვალისწინებით დადგენილი ტარიფებისა და ვადების ფარგლებში, აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მითითებული კომპანიების გათავისუფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებული საფასურის გადახდისაგან.

ვასილ აბულაძის მითითებით, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიება, პროექტი ასევე ითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლში ახალი პუნქტების დამატებით/ცვლილების განხორციელებით:

- ზუსტდება დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის დაბრუნების პროცესი, ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემის საშუალებით;
- დაჩქარებული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი საფასურის სრულად დაბრუნების საფუძველად მიიჩნევა შემდეგი: „თუ მოთხოვნილია ისეთი მომსახურება, რომლის გაწევაც არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას.“;
- განსახორციელებელი ცვლილებით ზუსტდება - განმცხადებელს გადახდილი საფასური უკან არ დაუბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ მის მიერ განცხადება წარდგენილ იქნა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადებაზე უარის თქმის შესახებ და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე,



ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

13. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-13 საკითხად განსაზღვრული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ დადგენილებაში იმგვარი ცვლილების განხორციელებას, რითაც:

- მითითებული დადგენილების მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული შეზღუდვები არ გავრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე;
- შესაბამის მუხლში სათანადო ქვეპუნქტის დამატებით - დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე მხარის სატრანსპორტო საშუალებებზე, შემსყიდველი ორგანიზაციის ინიციატივით საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ღონისძიების შემჭიდროვებულ ვადებში ჩასატარებლად, შესაბამისი ვადით;
- ამავე დროს დაზუსტდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მიმართვის წესი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს დადგენილების ამოქმედებას 2024 წლის პირველი აპრილიდან, ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიება:

„ამ დადგენილების ამოქმედებამდე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და



დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-106 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემული თანხმობები ძალას კარგავენ ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე“.

მოხსენების დასასრულს, ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. თამარ ბერუაშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-14 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებით დამტკიცებულ „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესსა“ (დანართი N1) და „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ (დანართი N4) ცვლილებების შეტანას შემდეგი სახით:

1. „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ განსახორციელებელი ცვლილებებით:

▪ ზუსტდება საშვილოსნოს ყელის დათვალიერების შემდგომ პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით ჩატარების ასაკობრივი კარგორია და განისაზღვრა 25 წლიდან 30 წლის ასაკის ჩათვლით. ასევე, დამატებით დაინერგა HPV დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარების მეთოდი 30 წლიდან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში და HPV ტესტი დადებითი შემთხვევების ტრიაჟი სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიის საფუძველზე.

▪ ზემოაღნიშნული მეთოდით ტესტის ჩატარების შესაძლებლობის გაჩენამ, განაპირობა იმის დაზუსტებაც, თუ რა წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება, იმისათვის, რომ შეძლოს აღნიშნული ლაბორატორიული მომსახურების მიწოდება, ამდენად წარმოდგენილი ცვლილებით, განისაზღვრება, რომ შესაბამისი ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებლად (შემდგომში – ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი) რეგისტრაციის უფლება გააჩნია მხოლოდ იმ ლიცენზირებულ ლაბორატორიებს, რომლებსაც წინა წლის განმავლობაში ჩატარებული აქვთ არანაკლებ 6 ათასი ციტოლოგიური კვლევა ან წარმოადგენს საუნივერსიტეტო ლაბორატორიას –



როგორც ციტოპათოლოგიური მიმართულებების სასწავლო ბაზა); ამასთან, განსაზღვრულმა მიმწოდებელმა ციტოლოგიური კვლევები აუცილებლად უნდა განახორციელოს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხოლო ჰისტომორფოლოგიური კვლევა შეუძლია განახორციელოს ქვეკონტრაქტორი ლაბორატორიის მეშვეობით.

- მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციისთვის, სამედიცინო დაწესებულებას, ზემოაღნიშნულ კვლევებზე წინასწარ უნდა ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრული ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელთან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად არის რეგისტრირებული ქვეპროგრამის განმახორციელებელთან ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელად);
- განისაზღვრება, რომ პროექტით წარმოდგენილი, HPV ტესტირებისა და HPV ტესტით დადებითი შემთხვევების სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიის (LBC) სერვისის მიმწოდებელია ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი.“
- დამატებით ჩანაწერი ჩნდება, რის მიხედვითაც, მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მეორადი სკრინინგის ჩატარება რეკომენდებული პერიოდებით, კერძოდ, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი HPV ტესტით - ხუთ წელიწადში ერთხელ.
- ვინაიდან, წესი ითვალისწინებს ახალი მომსახურების ერთეულების დამატებას, აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა წესის მე-7 მუხლით დამტკიცებულ ცხრილში, შემდეგი სახით: „საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – HPV-ტესტის ჩატარება“, რომლის ერთეულის ღირებულებაც შეადგენს 34 ლარს და მომსახურება „სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგია“, რომლის ერთეულის ღირებულებაც შეადგენს 25 ლარს, მომსახურება „საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი – საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, HPV- ტესტის ჩასატარებლად ნაცბის აღება“, რომლის ერთეულის ღირებულებაც შეადგენს 10 ლარს. ასევე ცხრილის რიგი მომსახურებების სახელწოდებები დაზუსტდა.

2. „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ განსახორციელებელი ცვლილებებით:

წარმოდგენილია აღნიშნულ წესში შესაბამისი ტექნიკური და რედაქციული ხასიათის ცვლილებების განხორციელება;

ასევე განისაზღვრება, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ფარგლებს შიგნით მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებას აქვს სრული შესაძლებლობა, ამავე წესით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისა, პაციენტს კონსილიუმის დასკვნით განსაზღვრული პროცედურა უნდა ჩაუტარდეს სწორედ ასეთი დაწესებულების მიერ და აღარ უნდა იქნეს გაგზავნილი საზღვარგარეთ რეგისტრირებულ მიმწოდებელთან. შესაბამისად, ქვეპროგრამის განმახორციელებელს დაფინანსების გაცემისას, წარედგინება საქართველოს ფარგლებს შიგნით რეგისტრირებული მიმწოდებელი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, თუმცა, თუკი პაციენტი უკვე იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში, შესაძლოა დაფინანსებისას წარმოდგენილი იქნეს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული მიმწოდებლის მიერ გაცემული დოკუმენტაცია;



მომხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, ასევე, პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, აგრეთვე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება 2024 წლის პირველი აპრილიდან.

აზრი გამოთქევს:

არჩილ გორდულაძემ გამოთქვა რეკომენდაციები დადგენილების პროექტის მიმართ, კერძოდ, პროექტის „ა.ე.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიება სრულად მოიცავდეს „ბ“ ქვეპუნქტს, ნაცვლად - აღნიშნული პუნქტის მხოლოდ „ბ. ა“ და „ბ.ე.“ ქვეპუნქტების მითითების. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია, აღნიშნული ქვეპუნქტის სრული სახით მითითება და შემდეგი სახით ჩამოყალიბება:

„დ.დ) უზრუნველყოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ან საკვლევი მასალების ტრანსპორტირება არანაკლებ კვირაში ერთხელ. ასევე, უზრუნველყოს საკვლევი მასალის წამოღებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი მონაცემების შეტანა.“

მომხსენებლის მიერ გაზიარებულ იქნა არჩილ გორდულაძის მიერ გამოთქმული რეკომენდაციები.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134-ში მდებარე 52.75 კვ.მ და 22.94 კვ.მ ფართების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე თამარი ბრეგვამისთვის პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირის მიერ, უძრავი ქონების პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით, ისნის რაიონის გამგეობისადმი მიმართვის შემდგომ, გამგეობის მიერ მოკვლეული ინფორმაციით, გამოიკვეთა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის



ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს 2021 წლის 13 სექტემბრის წერილობით ინფორმაციაზე დაყრდნობით, თამარი ბრეგვაძე 2007 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, აღნიშნული პირის მიერ, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებენ მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ამასთან, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტით, მითითებული მოქალაქის ოჯახის წევრებმა გამოხატეს თანხმობა თამარი ბრეგვაძის მიერ ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით.

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან, აგრეთვე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, თამარი ბრეგვაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბაღანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება პირველი მ/რ, კორპუს N2ბ-ში, მე-3 სართულზე არსებული 13.03 კვ.მ ფართის, ბინა N36-ის ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე თამილა ტყემელაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, გლდანის რაიონის გამგეობისადმი მიმართვით, ზემოაღნიშნულმა მოქალაქემ ითხოვა შუამდგომლობის გაწევა თვითნებურად დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის დროს გამოიკვეთა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის მთავარი სამმართველოდან გამოთხოვილი ინფორმაციით, თამილა ტყემელაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1990 წლიდან დღემდე, ამასთან,



ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, გლდანის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების მიერ მოძიებული ინფორმაცია, ასევე, მოპოვებულ იქნა ცხოვრების ფაქტის ამსახველი სათანადო ფოტომასალა, ამდენად, გამგეობის შუამდგომლობისა და აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

17. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის I შესახვევი N4, პირველი სართული, ბინა N1-ის 76.22 კვ.მ ფართის დაახლოებით 30 წლის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე იოსები მაღრაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობისადმი, წარდგენილი განცხადებით, ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა, ითხოვა მითითებული თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ საკითხის შესწავლის დროს, გამოკვლეულ იქნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, მოქალაქე იოსები მაღრაძე 1992 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებენ მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ამასთან, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, იოსები მაღრაძე და მისი ოჯახის წევრები დევნილის სტატუსის მქონე პირებად რეგისტრირებულნი არ არიან, ამასთან, გამგეობის შუამდგომლობისა და მითითებული გარემოებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.



გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი N6-ში მდებარე ფართების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის, ჯამში - 122.38 კვ.მ. უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ სერგეი ელიავას გადაეცემა- 75.56 კვ.მ ფართი;
- ✓ როლანდ კვარაცხელიას გადაეცემა- 46.82 კვ.მ. ფართი;

მომხსენებლის განმარტებით, ჩუღურეთის რაიონის გამგეობისადმი მიმართვის გზით, ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა ითხოვეს თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის დროს გამოიკვეთა რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები მისამართზე ნამდვილად ცხოვრობენ 2003-2007 წლებიდან, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა და გამგეობის შემოწმების აქტები, აგრეთვე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, სერგეი ელიავა სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში იძულებით გადაადგილებულ პირად არ ფიქსირდება, ხოლო მისი ოჯახის წევრები წარმოდგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც დაკმაყოფილებულები არიან საცხოვრებელი ფართით მდებარე: ქალაქი ფოთი, მალთაყვის სანაპირო N8, ასევე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის შუამდგომლობისა და ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:



განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე საერთო ჯამში - 404.51 კვ.მ. უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებას:

- ✓ მია ახალკაცს გადაეცემა - 67.85 კვ.მ;
- ✓ ლალი ხუნჯუას გადაეცემა - 100.76 კვ.მ;
- ✓ თემურ კვარაცხელიას გადაეცემა - 67.29 კვ.მ;
- ✓ იათამზე გველესიანს გადაეცემა - 67.85 კვ.მ;
- ✓ კონსტანტინე ჯიმშელიეიშვილს გადაეცემა - 100.76 კვ.მ.

მომხსენებლის განმარტებით, ზემომიხითებულმა მოქალაქეებმა ნაძალადევის რაიონის გამგეობისადმი მიმართვით, ითხოვეს უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, თვითნებურად დაკავებული ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის დროის გამოიკვეთა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს ინფორმაციით, დაახლოებით 12 წელია ნამდვილად ცხოვრებენ მითითებულ მისამართზე, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას აგრეთვე ადასტურებს გამგეობის შემოწმების ოქმები და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის განმარტებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ, ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ამასთან, ეცნობა, რომ ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე კორპუსი არ წარმოადგენს/არ წარმოადგენდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის მიზნით აშენებულ კორპუსს, არ არის კერძო თუ იურიდიული პირის ქონება, 2010 წლიდან თვითნებურად დაიკავეს მოქალაქეებმა, რომლებმაც შავი კარკასის მდგომარეობაში არსებული უძრავი ქონება მოიყვანეს საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში, ამდენად, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ გაუწია შუამდგომლობა მითითებულ პირებს, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.



აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის მითითების ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ასევე ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საერთო ჯამში 371.04 კვ.მ უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17, თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ კობა ქურდაძეს გადაეცემა - 67.29 კვ.მ; სულხან ზარანდიას გადაეცემა - 67.85 კვ.მ;
- ✓ ბერიკა ბრეგვაძეს გადაეცემა - 100.76 კვ.მ.; გურამ გვრიტიშვილს გადაეცემა - 67.29 კვ.მ;
- ✓ დათო ხორავას გადაეცემა - 67.85 კვ.მ;

მომხსენებლის განმარტებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, გამოიკვლია, რომ მითითებული მოქალაქეები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის V სამმართველოს ინფრომაციით, დაახლოებით 12 წელია ცხოვრებენ აღნიშნულ მისამართზე, ასევე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, გამგეობის შემოწმების ოქმები და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

როგორც მარიამ კვერნაძემ დასძინა, მითითებული მოქალაქეები წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებმაც, ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე კორპუსი 2010 წლიდან თვითნებურად დაიკავას და შავი კარკასის მდგომარეობაში არსებული ფართები მოიყვანეს საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში, ამდენად, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ, ასევე გაუწია მითითებულ პირებს შუამდგომლობა, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და



მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის მითითების ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში, მე-2 სართულზე მდებარე 33.37 კვ.მ. ფართის თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე ინგა აბრამიშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, აღნიშნული დაინტერესებული პირის მიერ, ისნის რაიონის გამგეობისადმი წარდგენილი, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის თხოვნის საფუძველზე, გამგეობის მიერ დაწყებული მოკვლევით, დადგენილ იქნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქე ინგა აბრამიშვილი 1997 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რასაც ასევე ადასტურებს გამგეობის მიერ შედგენილი ოქნები და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, ამასთან, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ინგა აბრამიშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის, ამდენად, გამგეობის შუამდგომლობისა და მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:



კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის რეკომენდაციებზე, რომლებით გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

22. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში, საერთო ჯამში - 178.73 კვ.მ. უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას:

✓ მარინა ხაბულიანს გადაეცემა - 101.86 კვ.მ. ფართი; მარინა მიქავას გადაეცემა - 46.33 კვ.მ. ფართი; ნათია აბუაშვილს გადაეცემა 27.82 კვ.მ; და 2.72 კვ.მ. ფართები.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, სამგორის რაიონის გამგეობამ დაიწყო კვლევა, ზემოაღნიშნული დაინტერესებული პირების მიერ, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე შუამდგომლობის თხოვნის თაობაზე წარდგენილი განცხადებების საფუძველზე და დაადგინა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეების 9-10 წელია ცხოვრობენ ხსენებულ მისამართზე, ამასთან, უძრავი ქონების ნამდვილობას ასევე ადასტურებს გამგეობის შემოწმების ოქმები და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, აგრეთვე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, გამგეობის მიერ გაწეული შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:



განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 23-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-10 კვარტალში, კორპუს N9-ში, არსებული 49.00 კვ.მ ფართის ბინა N17-ის ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე თენგიზი ალადაშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებულმა მოქალაქემ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 72 კვ.მ საცხოვრებელი ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შემდგომ გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა "2002 წლის 25 აპრილს ქ. თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სპეციალური ფონდი"-ს საკუთრებას, ხოლო, ფართობი შეადგენდა 49.00 კვ.მ., ვინაიდან, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერით, აღნიშნული 49.00 კვ.მ. ფართის მესაკუთრეა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, შესაბამისად, მოქალაქე თენგიზ ალადაშვილის მიერ მოთხოვნილი 72.00 კვ.მ ფართი დაკორექტირდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკითხზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მას გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 49.00 კვ.მ ფართი.

მომხსენებლისვე განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს ინფორმაციით თენგიზი ალადაშვილი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე 25 წელია, ამასთან, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს გამგეობის შემოწმების ოქმები და სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, თენგიზი ალადაშვილისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, ამდენად, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი საპრივატიზებო პირობით:

✓ ქონების შემქმნმა ხელი არ უნდა შეუშალოს, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მასივი 3-ში, მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013) არსებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის



მიერ დაგეგმილი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟი და ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ამ ხელშეკრულებაზე ქონების შემძენი ხელის მოწერით თანხმობას აცხადებს, აღნიშნული პირობის შეუფერხებლად განხორციელებაზე.

აზრი გამოთქვებს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებულ რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 24-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი № 5-ში, პირველ სართულზე, 88.83 კვ.მ. ფართის, თვითნებურად მცხოვრები რამაზი თათულაშვილისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების თაობაზე საკითხის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება, რომ აღნიშნული პირის მიერ უნდა მოხდეს № 81.02.07.354.01.019 საკადასტრო კოდით მის საკუთრებაში რეგისტრირებული 80.61 კვ.მ. უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობა.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, მოქალაქე რამაზი თათულაშვილის განცხადების საფუძველზე, წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და აცნობა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 სექტემბრის № 24/09/05 განკარგულების თანახმად, რამაზ თათულაშვილს პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცა №81.02.07.354.01.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 80.61 კვ.მ. უძრავი ქონება, რაც მდებარეობს მისამართზე - ქალაქი თბილისი, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი №6, რეალურად კი იგი 1998 წლიდან ცხოვრობს არა ზემოაღნიშნულ მისამართზე, არამედ ცხოვრობს შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი №5, ხოლო, არსებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, აღნიშნული მოქალაქე თანახმაა, საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება დათმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, მისი რეალური საცხოვრებელი ფართის, მდებარე: ქალაქი თბილისი,



ტაბახმელას დასახლება, კორპუსი № 5 ს/: № 81.02.07.369.01.501 სიმბოლურ ფასად პრივატიზების სანაცვლოდ.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული მოქალაქე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 1988 წლიდან ცხოვრობს მითითებულს მისამართზე, რასაც ასევე ადასტურებს, გამგეობის შემოწმების ოქმები და სანოტარო წესით დამოწმებული ფიზიკური პირების თანხმობა, ამასთან, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, რამაზი თათულაშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის, ამდენად, გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 25-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, შპს „აჩის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 (ხუთი) წლის ვადით, აქვე დასძინა, რომ შპს „აჩის“ საკუთრებაშია ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N43/თამაზ გამყრელიძის ქუჩა N2-ში არსებული ფართი.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, ასევე, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის



მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (26.02.2024წ) დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 5520 ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5520 (ხუთი ათას ხუთასოცი) ლარის (ოცნობათა, 5 (ხუთი) წლის ვადით, შპს „აჩისთვის“ გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 26-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ს მიმდებარედ, 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოქალაქე ირინა თაბორიძისთვის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ირინა თაბორიძემ განცხადებებით მიმართა, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემის თხოვნით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით, ამასთან, დასძინა, რომ მოქალაქე ირინა თაბორიძის საკუთრებაშია ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ში არსებული ფართი და აღნიშნული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიღებული 3ქონდა აღნაგობით, 2023 წლის 23 სექტემბრამდე, კიბის უჯრედის მშენებლობა/მონტაჟის შესაძლებლობით.

მომხსენებლისვე განმარტებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი, ამასთან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მ/წლის 27 თებერვლის სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა: 432 (ოთხას ოცდა თორმეტი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული, ხსენებული 3 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, მიწის ნაკვეთის საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 432 (ოთხას ოცდა თორმეტი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით, ირინა თაბორიძისთვის გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ოტონე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციის „ეროიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 27-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1074 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ეკატერინე კაჭარავასთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მოქალაქე ეკატერინა კაჭარავამ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემოაღნიშნული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 30 წლის ვადით გადაცემის თხოვნასთან დაკავშირებით, კიბის უჯრედის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბაქანის და ლიფტის განთავსების მიზნით, აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ასევე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, მიწის ნაკვეთის, ხსენებული მიზნობრიობით იჯარის ფორმით გადაცემის წინააღმდეგი არ არის.

მარიამ კვერნაძის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქალაქ თბილისში, გამზირი ვაჟა-ფშაველა № 75-79-ის მიმდებარედ, 12 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2024 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1728 ლარით, ამასთან, ეკატერინა კაჭარავას საკუთრებაში აქვს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება, ხოლო, ყოვლივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოხსენებული 12 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ეკატერინა კაჭარავასთვის 5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 1728 (ათას შვიდას ოცდარვა) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.



აზრი გამოთქვებს:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ისაუბრა პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 28-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ღია კაფის მოწყობის მიზნით, თამაზ გოგობერიშვილისთვის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, თამაზ გოგობერიშვილმა განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ღია კაფეს მოსაწყობად, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თხოვნით, ამასთან, განმარტა, რომ აღნიშნული მოქალაქის საკუთრებაშია, დავით აღმაშენებლის გამზ. N22/რომის ქ. N3-ში არსებული ფართი.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა იჯარით გაცემის საკითხს შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მხოლოდ მაგიდები, სკამები და ქოლგები, ბარიერების (ქოთნების) გარეშე, რაც ეცნობა დაინტერესებულ პირს, ხოლო, თამაზ გოგობერიშვილმა დამატებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, წარადგინა კორექტირებული დოკუმენტაცია და ითხოვა შემცირებული 11 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემა, რასაც, ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიეცა დადებითი შეფასება, აგრეთვე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება



5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მწლის 12 თებერვლის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 2640 ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების თამაზ გოგობერიშვილისთვის 3 (სამი) წლის ვადით, საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 2640 (ორი ათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 29-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქუჩა N5ა-ში მდებარე ფართების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - „ეკო სოკოსთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე გამოცემული სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით, ა(ა)იპ „ეკო სოკოს“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ს მე-4 სართულზე არსებული 36.1 კვ.მ. ფართობის ბინა N5 და 36.2 კვ.მ. ფართობის ბინა N5ა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროფესიული საქმიანობის შესწავლის და დასაქმების მიზნით. მარიამ კვერნაძემ აქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წლის 2024 წლის 6 თებერვალს განცხადებით მიმართა აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენელმა და ითხოვა ხსენებული უძრავი ქონების განმეორებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად



იქნა მიჩნეული ხსენებული ფართების, ა(ა)იპ „ეკო სოკოსთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა, აგრეთვე - ამ განკარგულების პროექტის მიღებამდე პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის საკითხის შეთანხმება.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოსმინეს:

30. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 30-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგი“-სთვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2023 წლის 28 დეკემბრიდან 2024 წლის 26 იანვრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, ისნის N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 57 573 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა (შემდგომში - „სამშენებლო პროექტი“), მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 2.2-ით, ხოლო



ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 12 700 კვ.მ-თ, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გაიმარჯვა, კომპანია „ჯაოკენ ბილდინგმა“ (მხოლოდ აღნიშნულმა კომპანიამ წარადგინა განცხადება), სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 13 000 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზებით, აგრეთვე, წარადგინა, სს „საქართველოს ბანკის“ 2024 წლის 23 იანვრის თარიღით გაცემული ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია - 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, პროექტით წარმოდგენილ პირთა უდიდესი ნაწილის დაკმაყოფილება გათვალისწინებული იყო ქ. თბილისში, დიდი დიდმის მიმდებარე ტერიტორიაზე, N01.72.14.005.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 62 404 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან, რომლის პრივატიზებასთან დაკავშირებით, ინტერესთა გამოხატვა გამოცხადებული იყო ზემოაღნიშნული წესით, აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში, სააგენტოსთვის/კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 12 800 კვ. მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზებულ იქნა, შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ მიერ, 2022 წლის 5 დეკემბრის განცხადებით და სააგენტოს მიერ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულადაც გამოცხადდა შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგ“.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან მოცემული კოოპერატიული სამშენებლო პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, მითითებული მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური მიმართულებით გამოკვლევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა, მითითებულ ორგანოში დაცული, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ან/და სხვა შესაბამის კვლევების ამსახველი დოკუმენტაცია, ხოლო, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 14 მარტის წერილის მიხედვით, N01.72.14.005.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის არეალში არსებულ მეწყრულ სხეულზე 2016 წლიდან სააგენტო ახორციელებს ინსტრუმენტალურ მონიტორინგს, სადაც ფიქსირდება მეწყრული პროცესების გარკვეული დინამიკა, ამასთან, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტომ 2019 წელს მოამზადა გეოლოგიური ანგარიში - „ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობების და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება“, შესაბამისი გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკით. აღნიშნული რუკების მიხედვით, N01.72.14.005.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია მაღალი საშიშროების რისკის კატეგორიაში.

ამასთან მომხსენებლის მითითებით, „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის მიმდებარე ტერიტორიის (ს/კ 01.72.14.005.681) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების“ შესახებ ი/მ ვლადიმერ ჩაჩავას მიერ მომზადებული დოკუმენტით დადგინდა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაგეგმარება - წარმართვა არ არის მიზანშეწონილი და ძლიერ სარისკოა, ასევე, „ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის მიმდებარე ტერიტორიაზე, ს/კ 01.72.14.005.681 ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების“ შესახებ შპს „გეოლოგიური მომსახურების“ მიერ მომზადებული 2023 წლის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მეწყრისთვის



დამახასიათებელ ტალღოვან, საფეხურებრივ რელიეფზე. მითითებული ტერიტორია წარმოადგენს აქტიურ მეწყერულ სხეულს და შესაბამისად, ვინაიდან, ტერიტორია წარმოადგენს არასტაბილურ ფერდობს, მითითებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა დაუშვებელია. გარდა ამისა, ამავე მიწის ნაკვეთზე, შპს „გეოინჟომპლექსის“ მიერ მომზადებული საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის თანახმად, მითითებული ტერიტორია, საინჟინრო გეოლოგიური პირობების და სირთულის მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული), დამეწყურულია და არაადაპტაციო ფიცილებელ პირობებშია. შესაბამისად, სამშენებლო თვალსაზრისით ტერიტორია 'არარენტაბელურია' და მშენებლობა რეკომენდირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2023 წლის 27 დეკემბრის განკარგულებით გადაწყვიტა - მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება, ხოლო, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალა, ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში მდებარე, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57 573 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მ/წლის 13 იანვრის წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთხოვა, რომ „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგისთვის“ (ს/ნ: 404566947) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1451.1618 განკარგულებით განსაზღვრული საკითხის განუხილველად დატოვება.

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 5 თებერვლის წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2023 წლის 28 დეკემბრიდან 2024 წლის 26 იანვრის ჩათვლით გამოცხადებულ „ქ. თბილისში, ისნის რაიონში მდებარე, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57573 კვ. მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა და მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის თაობაზე“ ინტერესთა გამოხატვაში სააგენტოს მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი მონაწილე სუბიექტი შპს „ჯაოკენ ბილდინგი“, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 მარტის N24.383.429 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტით წარმოდგენილი საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენისა.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი დანართით განსაზღვრული კოოპერატივის წევრებიდან (სიით - 169 პირი) 164



(ას სამოცდაოთხი) პირი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის განკარგულებით გათვალისწინებულ პირს, რომელთა სიის ფორმირება, აღნიშნული განკარგულების გამოცემის დროისათვის, განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. ხოლო 4 (ოთხი) პირი დაემატა კომპანიის მიერ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში შემოთავაზებული დამატებითი ფართობის გათვალისწინებით, ამასთან, ერთ-ერთი მოქალაქე გარდაცვლილია და მისი წილის მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის (სამკვიდრო მოწმობა) შემდეგ მითითებული ფართი გადაეცემა უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

მარიამ კვერნაძემ განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

მარიამ კვერნაძემ აქვე დასძინა, რომ დანართით განსაზღვრული მოქალაქეებიდან, 5 (ხუთი) პირი აცხადებს თანხმობას, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დათმონ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის (საქმე N3/122-16; მოსარჩელე - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ფეიქარი-629“) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა, რაც საკუთრებაში გადაეცა ბმა „ფეიქარი-629“-ს, რომელიც წარმოადგენს N629 კოოპერატივის უფლებამონაცვლეს, აღნიშნული ქონებიდან, საკუთრების უფლება თავიანთ წილებზე, განკარგულების პროექტით განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის/შესაბამისი ოდენობის თეთრი კარკასის ფართის) საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ.

მარიამ კვერნაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების, ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით, შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად პრივატიზების თაობაზე საკითხი.

აზრი გამოთქვას:



არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტთან ერთად წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტში ასევე იქნას მითითებული დათქმა უძრავი ქონების მესამე პირების მიერ, თვითნებურად, სავარაუდო დაკავების ფაქტთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მითითებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 მარტის N24.383.429 განკარგულება, რითაც მოწონებულ იქნა წარმოდგენილი საკითხი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, აგრეთვე, მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის პირველი პუნქტის სტილისტურად გამართვა.

არჩილ გორდულაძის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს - უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ და ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 31-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არეა დეველოპმენტს“ შორის 2022 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“ - გათავისუფლების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ სახელმწიფო საშინაო ვალთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული დელეგირებული უფლებმოსილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს 2022 წლის განკარგულებების საფუძველზე, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში



გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტის“ საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, ხოლო მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

✓ კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელოს საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ შესაბამის პირებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი);

✓ კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროექტი განახორციელოს 3 ლოტად (3 შენობა-ნაგებობად). კომპანია ვალდებულია პირველი ლოტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, მეორე ლოტის - არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 (ერთი) წლისა 6 (ექვსი) თვის ვადაში, ხოლო მესამე ლოტის - არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან - 3 (სამი) წლის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4 პუნქტი);

მომხსენებლის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ლოტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2023 წლის 3 თებერვლისა, თუმცა მშენებლობის ნებართვა სრულად სამივე ლოტზე სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 2023 წლის 13 ივნისის ბრძანებით. შესაბამისად, ვადაგადაცილება შეადგენს 129 (ას ოცდაცხრა) დღეს, ამასთან, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად, კომპანია კოოპერატივების წევრებს გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო ნებართვა გაცემულ იქნა 2023 წლის 13 ივნისს, კომპანიას კოოპერატივების წევრებისთვის საკუთრების უფლების გადაცემა და განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე ამონაწერების მომზადება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2023 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით, თუმცა საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი ამონაწერების მომზადება განხორციელდა 2023 წლის 26 დეკემბერს, შესაბამისად, ვადის გადაცილება შეადგენს 134 (ასოცდაათხმეტი) დღეს, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, კომპანიის განმარტებით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე თანხმობა გაიცა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 19 მაისის ბრძანებით, ასევე, კომპანიის განმარტებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამის ვადაში შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რომ საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების პროცესში განხორციელდა არსებული კანონმდებლობის იმგვარი ცვლილება, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სრულ კომპანიის მიერ მომზადებულ და არქიტექტურის სამსახურისადმი წადგენილ დოკუმენტაციაზე, აღნიშნული მიზეზით კომპანია ვალდებული გახდა კვლავ განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის ისეთი არსებითი ცვლილება, რომელიც თავისი შინაარსით უთანაბრდება ახალი



დოკუმენტაციის მომზადებას, ხოლო საპროექტი დოკუმენტაცია შეთანხმებული იქნა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის წლის 19 მაისის ბრძანებით და აღნიშნულის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გაჭიანურება გამოწვეულ იქნა არა კომპანიის, არამედ ცალკეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის არსებითი ცვლილებით, ამასთან, კომპანიამ აგრეთვე, განმარტა, რომ აღნიშნულ ვადაში არქიტექტურის სამსახურის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ხარვეზების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადა, ხოლო, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 13 ივნისის ბრძანებით გაცემულ იქნა სამივე ლოტის (სამი შენობა-ნაგებობის) მშენებლობის ნებართვა.

მარიამ კვერნაძემს განაგრძო თხოვრა და მიუთითა, რომ სააგენტოში კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა 2021 წლის 30 ნოემბერს განცხადება, რომლითაც დგინდებოდა, რომ მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის მიერ ადგილი ჰქონდა N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ნაწილის ფაქტობრივად დაუფლების მცდელობას, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რაც ხელს უშლიდა კომპანიას, ეწარმოებინა სამშენებლო პროექტის განხორციელებისათვის საჭირო წინასაპროექტო სამუშაოები, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კი რისკის ქვეშ აყენებდა ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული და კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების დასაკმაყოფილებლად ხსენებულ ტერიტორიაზე სამშენებლო პროექტის განხორციელებას, აღნიშნული პრობლემის გადაჭრისა და შემდგომი რეაგირების მიზნით სააგენტომ 2022 წლის 17 თებერვლის წერილით მიმართა და საკითხი განსახილველად გადაუგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

კომპანიის განმარტებით, სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდეგ, ინდივიდუალური ფართების რეგისტრაციის ვადის გაჭიანურება გამოწვეულ იქნა იმ გარემოებით, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წარმოებისას დაადგინა არაერთი ხარვეზი, კერძოდ ს/კ: N01.14.01.001.423 უძრავ ქონებაზე/მიწის ნაკვეთზე ე.წ. „განშლის“ რეგისტრაციის მოთხოვნით, მიმართულ იქნა 2023 წლის 19 ივლისის განცხადებით, თუმცა საჯარო რეესტრში მიმდინარე წარმოების პროცესში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების მიერ შექმნილი ამხანაგობის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის მიმართ საჯარო რეესტრის მიერ დადგენილ იქნა არაერთი ცალკეული ხარვეზები - განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა, რომ ფართების განაწილების თაობაზე ამხანაგობის მიერ შედგენილ შესაბამის კრების ოქმზე არ იყო დამოწმებული ყველა პირის ხელმოწერა, რის გამოც საჯარო რეესტრის მიერ ცალკეულად დგინდებოდა შესაბამისი ხარვეზი. ასევე, ამხანაგობის შექმნისა და ფართების განაწილების კრების ოქმში კოოპერატივს წევრთა საიდენტიფიკაციო მონაცემები არასწორად იყო მითითებული, ხოლო ამ ხარვეზების გამოსწორება ამხანაგობის მიერ ვერ განხორციელდა სარეგისტრაციო წარმოებისათვის გათვალისწინებულ ვადაში, რის გამოც შეწყვეტილი იქნა წარმოება. ამხანაგობის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის კორექტირებისა და კომპანიისათვის მოწოდების შემდეგ, კომპანიის მიერ 2023 წლის 5 ოქტომბერს განცხადებით საჯარო რეესტრს განმეორებით წარედგინა დოკუმენტაცია ე.წ. „განშლის“ რეგისტრაციის მიზნით, რომელიც დასრულდა 2023 წლის 17 ნოემბერს. თუმცა, კოოპერატივ(ებ)ის უფლებამონაცვლე ამხანაგობის წევრთა საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერების გაცემის თაობაზე, საჯარო რეესტრისადმი მიმართულ იქნა ინდივიდუალურად, შესაბამისად, კვლავ დადგინდა არაერთი ხარვეზი და ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ შესაბამის პირებზე,



ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები საბოლოოდ მომზადდა 2023 წლის 26 დეკემბერს.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 184 100 (ას ოთხმოცდაოთხი ათას ასი) ლარით, აქვე დაამატა რომ კომპანიამ სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების თხოვნით, ხოლო, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“) პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივი საფუძველებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და სამართლებრივ საფუძველებს დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავებს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა;
- ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ;
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა და უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. მარიამ კვერნაძემ. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 32-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/წ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (უფლებამონაცვლე: ფ/პ კახაბერ ჩიბიროვ) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულება“, რომლის საფუძველზეც შპს „სასკოს“ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:



- ✓ ბ. ხმელნიცვის ქუჩა №181-ში მდებარე 4869 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: 01.19.35.007.111);
- ✓ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №185-185ა-ში მდებარე 3670 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.19.35.007.113);
- ✓ აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №57-ში მდებარე 3222 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.13.03.010.064).

მომხსენებლის განმარტებით, ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცვის ქუჩა №181-ში მდებარე საპრივატიზებო სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა და მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 (ათი) წლის განმავლობაში, აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2010 წლის შესაბამისი განკარგულებით დადასტურდა შპს „სასკოს“ მიერ სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია/აღჭურვის ვალდებულების შესრულება და №01.13.03.010.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება, ამასთან, 2020 წლის 10 აპრილს, მხარეთა შორის შედგა შეთანხმება, რითაც, მყიდველმა იკისრა ვალდებულება, განხორციელებინა დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია, აღნიშნული შეთანხმების დადებიდან 2 (ორი) წლის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით, ამასთან, იკისრა ვალდებულება, გამყიდველისთვის ეცნობებინა და მასთან შეეთანხმებინა ინვესტიციის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები, მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება და შესრულების ვადები.

მომხსენებლის განმარტებით, დამატებითი შეთანხმების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობა, ნაცვლად 10 წლისა, განისაზღვრება მუდმივი ვალდებულების სახით, ბ. ხმელნიცვის ქუჩა №181-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, ამასთან, აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული №01.19.35.007.113 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გათავისუფლდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობისგან და გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის განკარგულებით მყიდველს დაუდასტურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით, დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე დამატებითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შესაბამისად, შესასრულებელი დარჩა უძრავი ქონების მუდმივი საპრივატიზებო პირობა - სპორტული ობიექტის მუდმივად ფუნქციონირების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, 2023 წლის 24 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მყიდველს შორის გაფორმდა შეთანხმება, რაც



ითვალისწინებდა ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ცვლილებას, კერძოდ, უძრავი ქონების ნაწილზე, 2020 წლის 10 აპრილის დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შეზღუდვის (სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება) მოხსნას იმ პირობით, რომ:

ა) მესაკუთრე გადაიხდის უძრავი ქონების შეზღუდვის გარეშე და შეზღუდვის გათვალისწინებით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას - 1 098 330 (ერთი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას სამას ოცდაათი) ლარს, რაც დათვლილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 21 მარტის და 2023 წლის 19 აპრილის დასკვნებით;

ბ) №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებულ უძრავ ქონებაზე მყიდველი მოაწყობს ახალ სპორტულ ობიექტს (ზომით არსებულზე 50%-ით დიდს), რომელზეც მოაწყობს და შეინარჩუნებს შემდეგ სპორტულ ინფრასტრუქტურას:

- ორი დახურული საცურაო აუზი (ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის)
- ორტატამიანი მიუდოს დარბაზი;
- ტრენაჟორების დარბაზი არანაკლებ 15 სხვადასხვა სახის ტრენაჟორით;
- ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების დარბაზი.

გ) მესაკუთრე, ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის განახორციელებს 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციას;

დ) ახალი სპორტულ კომპლექსის შესაბამისი ფართები გამოყენებული იქნება მხოლოდ სპორტული მიზნით/ფუნქციით;

ე) ცვლილების შედეგად, მესაკუთრეს მიეცემა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, სპორტულთან ერთად, საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესაძლებლობა;

ვ) ახალი სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულებამდე მყიდველი უფლებამოსილი იქნება ვალდებულებების გარეშე გაასხვისოს საცხოვრებელი კომპლექსის ფართების 50%;

ზ) სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულების შემდგომ, სპორტული ობიექტის შესაბამის ფართ(ებ)ის გარდა, №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების სხვა ნაწილი თავისუფლდება საპრივატიზებო პირობებისგან.

მომხსენებლის განმარტებით, დამატებითი საპრივატიზებო საფასურის თანხა დაანგარიშებულია №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების ვალდებულებებისგან სრულად გათავისუფლების შემთხვევაში არსებული ოდენობით (4 120 260,00 (ოთხი მილიონ ასოცი ათას ორას სამოცი) ლარი), მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონების გარკვეულ ნაწილზე სპორტული პროფილის შენარჩუნების ვალდებულება რჩება მუდმივად. ასევე, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება შეფასებულ იქნა „სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობის“ შეზღუდვის გათვალისწინებითაც, 2023 წლის 18 აპრილის მდგომარეობით მისმა საბაზრო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 3 021 930,00 (სამი მილიონ ოცდაერთი ათას ცხრას ოცდაათი) ლარი.



მარიამ კვერნაძის მითითებით, წინა შეთანხმების სრულად ძალაში შესვლის წინაპირობას წარმოადგენდა დამატებითი საპრივატიზებო საფასურის შესაბამის ვადებში (3 თვის ვადაში) გადახდა, აღნიშნული თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, წინა შეთანხმება სრულად ძალაში არ შევიდა. ასევე, შეთანხმების შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, 2023 წლის 23 სექტემბერს ძალა დაკარგა წინა შეთანხმების ძალაში შესულმა შესაბამისმა პუნქტებმაც, ხოლო აღნიშნულ თარიღამდე, დამატებითი საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის მყიდველს დაეკისრა პირგასამტეხლო 32 949.90 (ოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა და ოთხმოცდაათი მესხედი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა თხოვა განაგრძო და მსოფთაია, რომ 2024 წლის 05 თებერვლის განცხადებით სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიმართა მყიდველმა და მოითხოვა წინა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ანალოგიური პირობებით, ახალი შეთანხმების გაფორმება. ამასთან, მყიდველმა სრულად გადაიხადა წინა შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი საპრივატიზებო საფასურის თანხა (1 098 330 (ერთი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას სამას ოცდაათი) ლარი) და დაკისრებული პირგასამტეხლო (32 949.90 (ოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა და ოთხმოცდაათი მესხედი) ლარი), ამასთან, შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან (ძალაში შესვლიდან) მშენებლობის ნებართვის აღებისთვის გათვალისწინებული ვადის შემცირების შედეგად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მიხედვით, შესაბამისი სამშენებლო პროექტის განხორციელების საბოლოო ვადები დარჩება არსებითად უცვლელი.

მომხსენების მიწურულს მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ვინაიდან მყიდველის მიერ უკვე გადახდილია შესაბამისი ფასთაშორისი სხვაობა და ახალი შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მისი ძალაში შესვლის შემთხვევითი გარემოებები აღარ არსებობს, ასევე, ვინაიდან ქონებაზე მოეწეობა არსებულზე უფრო დიდი ახალი სპორტული ობიექტი, რომელზეც სპორტული პროფილი შენარჩუნდება მუდმივად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტის მომზადება და ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ: 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვეტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა;
- ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ;
- უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

33. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 33-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს“ (უფლებამონაცვლე შპს „ილიარდი“) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ გაუქმებას, იმ პირობით, რომ:

✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში შპს „ილიარდი“ უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 390 777 (სამას ოთხმოცდაათი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდას და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებლმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს“ (უფლებამონაცვლე შპს „ილიარდი“) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე 448 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შემდეგი პირობებით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ და „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“, აქვე დასძინა, რომ ქონების მესაკუთრე დღეის მდგომარეობით არის შპს „ილიარდი“, შესაბამისად, მყიდველის მხარეს ხელშეკრულებაში დღეისათვის წარმოდგენს აღნიშნული კომპანია, ამასთან, ქონება სხვა მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად, დღეისათვის რეგისტრირებულია ახალი საკადასტრო ერთეულის სახით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის №39 ა.

მომხსენებლის განმარტებით, მყიდველმა 2023 წლის 29 დეკემბრის 2024 წლის 31 იანვრის განცხადებებით მიმართა სააგენტოს და ითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“) გაუქმება, ამასთან, მიუთითა, რომ მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2024 წლის 08 თებერვლის წერილში აღნიშნავს, ვინაიდან, უძრავი ქონების აუქციონის წესით განკარგვის შეზღუდვა განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილით, საკითხზე პოზიციის დაფიქსირება არ განეკუთვნება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კომპეტენციას, ამასთან, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2024 წლის 27 თებერვლის წერილით გამოხატავს თანხმობას ზემოხსენებული პირობის გაუქმებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 თებერვლის დასკვნით, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (717 093 (შვიდას ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდაცამეტი) ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვისგან - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ - თავისუფალ მდგომარეობაში, ღირებულებებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით



დაანგარიშებული თანხა შეადგენს 390 777 (სამას ოთხმოცდაათი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, სააგენტოს 2024 წლის 01 მარტის წერილით მყიდველს ეცნობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 თებერვლის დასკვნით დადგენილი თანხის ოდენობა და ეთხოვა პოზიციის წარმოდგენა, რაზეც მყიდველმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ქონებაზე პირობის „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 თებერვლის დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

მარიამ კვერნაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ გაუქმება, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება განხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 390 777 (სამას ოთხმოცდაათი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდას.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი, ხოლო, დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტი. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ✓ ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ;
- ✓ უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- ✓ უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



34. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 34-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „რეალთი ავლაბარს“ (უფლებამონაცვლე ლელა მამაცაშვილი) შორის, 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით განკარგულ 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ გაუქმებას, ხოლო, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „რეალთი ავლაბარს“ შორის, 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ და შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“, აქვე დასძინა, რომ 2023 წლის 24 აპრილს განხორციელდა მიწის ნაკვეთის გაერთიანება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან, რის შედეგადაც, უძრავ ქონებას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი, ასევე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოიხსნა შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებული პირის წარმომადგენელმა, 2024 წლის 9 იანვრის განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება, ხოლო, აღნიშნული თხოვნის საფუძველად, განმცხადებელის მიერ წარდგენილ იქნა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 13 დეკემბრის წერილი, რომლის თანახმადაც, გაერთიანების შედეგად მითებული მიწის ნაკვეთის (8655 კვ.მ.) სამშენებლოდ განვითარება, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე, შესაძლებელია განხორციელდეს თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის (დამხმარე შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე) განთავსების მიზნით (გარდა მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისა), ასევე, ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების ერთადერთ შესაძლებლობას, ამასთან, პოზიცია განმეორებით ეთხოვა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ხოლო, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში 2024 წლის 29 იანვარს კორესპონდენციის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული ხსენებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ გაუქმება და მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად განვითარება.

მარიამ კვერნაძის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 7 მარტის წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთის აუქციონის



წესით განკარგვისას, ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებაში/საწყის საპრივატიზებო საფასურში არ იყო გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“. კერძოდ, ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2019 წლის 7 ოქტომბერს მომზადებული დასკვნის თანახმად, ვინაიდან უცნობია მიწის ნაკვეთთან მიმართებაში კონკრეტულად რას გულისხმობს დამკვეთის მიერ მიწოდებული პირობა: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“, ექსპერტების მიერ არ იქნა გათვალისწინებული და მიწის ნაკვეთი შეფასდა არსებული ფუნქციური ზონის გათვალისწინებით.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 127² მუხლი მიეთითოს კონკრეტული პუნქტების სახით, ასევე დამატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტი, ხოლო, სამართლებრივი დასაბუთებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

არჩილ გორდულაძის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს:

- ✓ ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ; უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;
- ✓ უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 35-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულება, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შემდეგი საკითხების შეთანხმებას: ცვლილებების



შეტანას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 3282 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობაში და მისი შემდეგი სახით ჩამოყალიბებას: „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“.

როგორც მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დავით გვარამაძეს შორის 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებული 3282 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო, გაფორმებული ხელშეკრულებით, მითითებული ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) შესაბამისი განვითარება, რომლის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“, ამასთან, დღევანდელი მდგომარეობით, მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შედეგად, ფორმირებულია ახალი საკადასტრო ერთეული და წარმოადგენს შპს „ალიანს ლისის“ საკუთრებას.

მომხსენებლის განმარტებით, მყიდველმა, 2024 წლის 1 მარტის განცხადებით მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა, აუქციონის პირობის („საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) შესაბამისი განვითარება, რომლის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“) ცვლილება და ახალი პირობის განსაზღვრა შემდეგნაირად - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“, ამასთან, მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 მარტის წერილით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული არსებული აუქციონის პირობის მოთხოვნილი სახით ცვლილება.

მარიამ კვერნაძის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 მარტის დასკვნის შესაბამისად, 2015 წლის 7 ივლისის აუქციონზე შექმნილი უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებასა (599 621 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი პირობის - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“ გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას (685 938 ლარი) შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს - 134 895 (ას ოცდაათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

მომხსენების მიწურულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2024 წლის 5 მარტის წერილით, მყიდველს ეთხოვა 2024 წლის 4 მარტის დასკვნის შესაბამისად დადგენილ ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე პოზიციის წარმოდგენა, რაზეც, მყიდველმა განაცხადა თანხმობა, აუქციონის პირობის მოთხოვნილი სახით ცვლილების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო



ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 მარტის დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე, ამდენად, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, აუქციონით განკარგულ უძრავი ქონებაზე (შემდგომში გაერთიანებული) რეგისტრირებული აუქციონის პირობის ცვლილება შემდეგი სახით - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“, იმ პირობით, რომ:

- ამ განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 მარტის დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, ჯამურად - 134 895 (ას ოცდაათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვებს:

არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის პირველი პუნქტის ტექნიკურად გასწორება, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა;

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ და ცოტნე კობერიძემ „ლელი - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 36-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულება, რაც ითვალისწინებს, შემდეგი უძრავი ქონების: ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 7, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების და ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 8, ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, 313 358 (სამას ცამეტი ათას სამას ორმოცდათვრამეტი) ლარად, ირინე ოთარაშვილისთვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.



როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს გაეწია რეკომენდაცია განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ-ს. განკარგულების მე-2 პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ბინა ერთეული/ერთეულების ფართობი განისაზღვრა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით), ხოლო განკარგულების მე-3 პუნქტის საფუძველზე, ზემოაღნიშნული ბინა ერთეულის/ერთეულების მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა დაევალა სააგენტოს.

ზემოაღნიშნული განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი“-ს შორის 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და შესაბამის უძრავ ქონებაზე განაშენიანების ინტენსივობის (კ2) კოეფიციენტის გაზრდის მაკომპენსირებელ ღონისძიებად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (დღეის მდგომარეობით: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) 2019 წლის 31 დეკემბრის წერილის თანახმად, კომპანიას, მუნიციპალიტეტისათვის ჯამში 198.6 კვ.მ საცხოვრებელი ფართის გადაცემა, ე.წ. „თეთრი კარკასის მდგომარეობაში“, ვალდებულების სახით განისაზღვრა, მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:

- ✓ ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 5, ბინა N16-ში არსებული 48.40 კვ.მ უძრავი ქონება;
- ✓ ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 7, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება;
- ✓ ქ. თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 8, ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება ე.წ. „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“.

მომხსენებლის განმარტებით, სააგენტოს მიერ, ზემომითითებული უძრავი ქონებები - 120710 (ასოცი ათას შვიდას ათი) ლარად, 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარად და 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარად ორჯერ გამოცხადდა ელექტრონულ აუქციონზე, თუმცა მითითებული უძრავი ქონების გასხვისება არ განხორციელდა, შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-



82 დადგენილების დანართით დამტკიცებული წესის საფუძველზე სააგენტოსა და კომპანიას შორის 2021 წლის 4 ნოემბერს დადებულ იქნა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი“, რომლის გაფორმების შემდგომ, სააგენტოს წარედგინა კომპანიისა და მოქალაქე ირინე ოთარაშვილის ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც კომპანიის მიერ მოძიებულ იქნა დაინტერესებული პირი (ირინე ოთარაშვილი), რომელმაც გამოთქვა მზაობა შეიძინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული ფართები სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2023 წლის 8 სექტემბერს მომზადებული ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ღირებულების (N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი) ნაცვლად, N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 156679 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი) ლარად (არაუმეტეს 15%-ით ნაკლები ღირებულებით) და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 156679 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი) ლარად (არაუმეტეს 15%-ით ნაკლები ღირებულებით), ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ უძრავი ქონების შეძენა განხორციელდება „პრივატიზების წესით“ განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით. კერძოდ, დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გარდა უნდა უზრუნველყოს კომპანიისთვის (უძრავი ქონების პირვანდელი მესაკუთრისთვის) საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 1%-ის ოდენობის თანხის გადახდა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, შეცვლილი ღირებულებებით, განპირობებულია მუნიციპალიტეტის მიერ მითითებული უძრავი ქონების ეფექტურად/რაციონალურად პრივატიზებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების მობილიზების, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, ამასთან, შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი“-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილება პროექტით განსაზღვრული უძრავი ქონების სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ ღირებულებაზე (N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი) ნაკლები ოდენობით გასხვისება.

გადაწყვეტის:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ.



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. არჩილ გორდულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 37-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულება, რაც ითვალისწინებს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის დადგენილი საჭირო დროებითი ღონისძიებების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხამის ქ N4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქN55-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განხილველ კომისიას (შემდგომში - დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია) წარედგინა საქართველოს პროკურატურის განცხადებები შპს „ათორის და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით, ხოლო, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ, 2024 წლის 19 მარტის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

✓ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული დამთავრებული მშენებლობის დასრულების მიზნით მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით (ოქმი N19; 26.12.2023), რაც დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის შესაბამისი განკარგულებებით;

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულებით დაზარალებული პირების შესახებ არსებული ინფორმაციის და მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ა) დაზარალებული პირების გარკვეული ნაწილის მიმართ განხორციელდეს თანხის სახით გადასაცემი ვალდებულებების კომპენსაცია;

ბ) ცალკე დანართებად განისაზღვრა იმ პირთა სია, რომელთაც მიმართ შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ არსებული ვალდებულებების შესრულება მოითხოვა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კერძოდ ა) მისამართზე, ქალაქი თბილისი, საირმეს ქუჩა N37 და ქალაქი თბილისი, მუხამის ქუჩა N4;



გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების დანართის სახით განისაზღვრა ასევე იმ პირთა სია, რომლებიც არიან ვალდებულებების თვალსაზრისით უერთიერთდაკავშირებული პირები.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებაზე დაყრდნობით, რამდენადაც, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ზემოაღნიშნულ მისამართებზე დაზარალებულთა იდენტიფიცირებისას კომისიის აპარატი დაყრდნო ქალაქ თბილისის პროკურატურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის პროკურატურის 2023 წლის 11 აგვისტოს და 2023 წლის 22 დეკემბრის წერილით, წარდგენილ იქნა დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ ინფორმაცია. ამასთან, პროკურატურის მიერ მიწოდებული ინფორმაციით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საქმეზე გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები, რაც საჭიროებს გამოძიების მხრიდან ცალკე შეფასებას, საქმეზე ამ ეტაპზე დაზარალებულად ცნობილ ცალკეულ პირებთან დაკავშირებით ტარდება საგამომიებო და საპროცესო მოქმედებები, შესაბამისად, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის, შესაბამისად მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში საგამომიებო მოქმედებების ამოწურვამდე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არ გატარდეს შესაბამისი ღონისძიება დაზარალებულად ცნობილ გარკვეულ პირებთან მიმართებით,

მომხსენებლის მითითებით, საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განისაზღვრა ხელშემწყობი ღონისძიებები დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N641; 28.12.2023), ამასთან, დასძინა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიას საქართველოს პროკურატურის მიერ წარედგინა განახლებული/დამატებითი ინფორმაცია შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში შესაბამის კონკრეტულ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით. კერძოდ განახლებული ინფორმაციით, აღნიშნული პირებიდან დაზარალებულად ცნობილ 5 პირის მიმართ დღეის მდგომარეობით შესწავლილია საქმე და მათ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ზიანის ანაზღაურების შემადგერხებელი გარემოება.

მომხსენებლის მითითებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ განცხადებით მიმართა 5 (ხუთი) დაინტერესებულმა პირმა ინდივიდუალურად განცხადებებით და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობით, აღნიშნული პირებიდან:

ა) ნაწილი უარს აცხადებს დამატებით რაიმე მოთხოვნაზე, როგორც შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, თუ მისი ვალდებულება გასტუმრებული იქნება თანხის სახით, იმ ოდენობით, რაც დადგენილია თბილისის პროკურატურის მიერ.

ბ) ნაწილთა მის მიმართ შპს „ათორის“ და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ არსებული ვალდებულების შესრულება მოითხოვა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაზუსტების მიზნით გაიწეროს თანხის სახით გასაცემი ვალდებულებების კომპენსაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023



წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ პირთა მიმართ, ამავე განკარგულებით და მასში განხორციელებული ცვლილებებით გათვალისწინებულ პირობების შემთხვევაში მოხდეს მათ შორის 2020 წლის 16 დეკემბერს „მპს ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „მპს ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებულ კომპანიებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით, „მპს ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებულ კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის N561 განკარგულების გათვალისწინებით.

არჩილ გორდულაძემ ასევე ისაუბრა დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, რის მიხედვითაც, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქ. თბილისში, საირმეს ქ. N 37, ქ. თბილისი, მუხამის ქ N 4, ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გამოყენებულ იქნას საჭირო მხარდაჭერი ღონისძიებები, ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინოს:

✓ ზემოხსენებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გაცემული მხარდაჭერი ღონისძიებების ფარგლებში შემდეგი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) „მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/ვ: 01.10.14.024.036), 2. ქ. თბილისი, მუხამის ქ N 4 (ს/ვ: 01.14.11.024.004), 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/ვ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების:

ა.ა) დანართი 3-ით (მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების შესრულებისათვის მსურველ პირთა სია მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/ვ: 01.10.14.024.036)) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შემდეგი პირები:

ა.ა.ა) ლანა მურადოვა, საირმის ქ.# 37, 45 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი;

ა.ა.ბ) ლევან წიფწივაძე, საირმის ქ.# 37, 100.9 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი, უძრავი ქონების ღირებულება 60 540 აშშ დოლარი, გადახდილი თანხა - 60 540 აშშ დოლარი.

ა.ბ) დანართი 5-ით (საკუთარ/სხვის საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების უფლებრივად გათავისუფლების მსურველ პირთა სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შემდეგი პირები:

ა.ბ.ა) სალომე ხუნდაძე,

ა.ბ.ბ) ზაქარია ლაგაზიძე;



ა.ბ.გ) მარინე არჯევანიშვილი;

ბ) „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გავრცელდეს ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების მე-8 პუნქტი.

გ) „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გავრცელდეს ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების მე-9 და მე-11 პუნქტები.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, ასევე განისაზღვრება, რომ მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 , 2. ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4, 3. ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების ნებისმიერი დანართით გათვალისწინებული პირის მიმართ, ამავე განკარგულებით და მასში განხორციელებული ცვლილებებით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, მოხდეს, მათ შორის, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფისა“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდამჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან (გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ნოემბრის №561 განკარგულების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა სამართლებრივ საფუძვლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომრის სწორად მითითების, აგრეთვე, პროექტის პირველ და მე-2 პუნქტებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების სწორად აღნიშვნის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირეს:

- ✓ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა;
- ✓ ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ; უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

38. არჩილ გორდულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 38-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულება, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა 37 „ა-ში“ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - დაუმთავრებელი მშენებლობების კომისია) განცხადებებით მიმართეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-მა“ და შპს „რივერ საიდი 2023-მა“) და ითხოვეს მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N37 „ა-ში“ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, 2024 წლის 18 მარტის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

✓ ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა N37 - ასაშენებელი ნებართვა გაცემულია 1998 წლის 31 დეკემბრის N175 მშენებლობის დაწყების ნებართვით, 2010 წლის 4 იანვარის N01/18 ბრძანებით, ამასთან, არსებული ნებართვის ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი - კ1=1.0; ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - კ2 = 6.3; გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი - კ3 = 0.

✓ ზემოხსენებულ მისამართზე არსებული დამთავრებული მშენებლობის დასრულების მიზნით კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მითითებულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით შპს „ბოჟიტორის და შპს „ბოჭორიშვილის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

✓ აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში კომისიამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისის, ბოჭორიშვილის ქუჩა N37 „ა“-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებით ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით შპს „ბოჭორიშვილის“ მიერ წარდგენილი განაცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ეს გადაწყვეტილება შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან;

✓ დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი ინფორმაციით, შპს „ბოჭორიშვილმა“ ვერ განახორციელა სამშენებლო პროცესის დაწყება, აღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობამ და აღნიშნული ობიექტის დაზარალებულმა გააუქმეს შპს „ბოჭორიშვილთან“ და შპს „ბოჟიტორ“-თან 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულება და სამშენებლო სამუშაოების თაობაზე შეთანხმება გააფორმეს „შპს „რივერ საიდი 2023“-თან;

არჩილ გორდულაძის მითითებით, დაინტერესებული პირები ითხოვენ შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას:

ა) არსებული შეთანხმებული პროექტის ფარგლებში (კ2-6.3) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი „ა“ და „ბ“ ბლოკის 21081.17 კვ.მ.)



მოხდეს მშენებლობის ნებართვის გაგრძელება. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაანგარიშება მოხდეს შეთანხმებული პროექტის (2010 წლის) ფარგლებში მოქმედი რეგულაციების „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების გათვალისწინებით;

ბ) იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა განხორციელდება არსებული შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, არსებული სამშენებლო პარამეტრების უცვლელად, სამშენებლო პროექტის დასრულებისათვის საჭირო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის (51043.52 კვ.მ.) ნაწილის - 29963.35 კვ.მ. - გადატანა მოხდეს კომპანიის მიერ სამომავლოდ წარმოდგენილ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების გათვალისწინებით და გადაანგარიშებით, რაც გულისხმობს კ2-ის საანგარიშო ფართს 35669.47 ან 29962.35 კვ.მ.-ს საცხოვრებელ ფართს აივნების გარეშე;

გ) გაგრძელდეს მშენებლობის ნებართვა და დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენისა და საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულებებისგან გათავისუფლებით;

დ) რამდენადაც, არ იცვლება ძველი პროექტი და ხორციელდება მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გაგრძელება /გაცემა, მშენებლობის ნებართვის გაგრძელება მოხდეს „ა“, „ბ“ და „გ“ ბლოკის მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე;

ე) განხორციელდეს დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული ვალდებულებების გასტუმრების მიზნით თანხის გამოყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, 2 213 404 აშშ დოლარის და 48 400 ლარის ოდენობით და ხელშეკრულებების და სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, 2 389 600 აშშ დოლარის ოდენობით;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხა არ აისახოს ფინანსურ გაანგარიშებაში;

ზ) ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა გაცემულია 1998 წელს, ობიექტი არ არის შესული დღე-გან გათავისუფლებულ კომპანიათა ნუსხაში, შესაბამისად, მოხდეს ამ ობიექტის შეყვანა დღე-სგან გათავისუფლებულ კომპანიათა ნუსხაში.

მომხსენებლის მითითებით, კომისიის აპარატის მიერ არსებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, დაზარალებულთა მიმართ არსებული ვალდებულებებთან დაკავშირებით დგინდება შემდეგი:

✓ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი საკასაციო საჩივარი აღნიშნულ საქმესთან



დაკავშირებით) თანხობრივი ზარალით დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი თანხა დაახლოებით შეადგენს:

- ✓ 4 4 15 540 აშშ დოლარს;
- ✓ 37 820 ევროს;
- ✓ 48 400 ლარს.

✓ საჯარო რეესტრის მიხედვით რეესტრირებული ფართების კვადრატულობა „ბ“ და „გ“ ბლოკებზე ჯამურად შეადგენს 18790.44 კვ.მ-ს; ამასთან, რეესტრაცია გაუქმებულია 237.35 კვ.მ ფართზე;

✓ ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის 2010 წლის 15 მაისის კრების ოქმი და ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის 2010 წლის 15 მაისის კრების ოქმის შესწორებების მიხედვით, დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი ფართების ოდენობა, რომლებიც არ არის რეესტრირებული საჯარო რეესტრში შეადგენს 1150 კვ.მ.-ს;

✓ სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირებიდან ზოგიერთი პირის საკუთრების უფლება რეესტრირებულია უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში, ასევე, ზოგიერთი პირის მიმართ ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის კრების ოქმით გათვალისწინებულია გადასაცემი ფართი, შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირებისათვის გადასახდელი თანხა შეადგენს 1 458,018.40 აშშ დოლარს და 48 400.00 ლარს თანდართული დანართი 1-ის შესაბამისად.

არჩილ გორდულაძემ ასევე ისაუბრა დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიის თავმჯდომარისა და აღნიშნული კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შემდეგი რეკომენდაციის თაობაზე:

✓ იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში არსებული დამთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით 2021-2022 წლებში გაიცა ხელშემწყობი ღონისძიებები, თუმცა, შესაბამისი კომპანიების - შპს „ბოჭორიშვილი და შპს „ბოჟიტორი“ მიერ დღემდე არ მომხდარა ამ ობიექტზე შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების წარმოება;

ბ) წარმოდგენილია ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ს, შპს „ბოჭორიშვილს“ და შპს „ბოჟიტორს“ შორის 2023 წელს გაფორმებული შეთანხმება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე;

გ) ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა N37-ში დამთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირების გარკვეული ნაწილი ითხოვს მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ბოჭორიშვილის“ მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას, რადგან 2023 წელს უკვე შედგა შეთანხმება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ს, შპს „ბოჭორიშვილს“ და შპს „ბოჟიტორს“ შორის მხარეთა 2021 წლის 25 ივნისს დადებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე;

დ) ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა N37-ში დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირები, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“, მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გაცემას ითხოვენ შპს



„რივერ საიდი 2023“-ის მიმართ, რაც ასევე დასტურდება ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ს და შპს „რივერ საიდი 2023“ შორის 2023 წლის 24 ნოემბერს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებით;

ე) დაუმთავრებელი ობიექტის მშენებლობის დასრულება და შესაბამისი ფართების მიღებას თუ გადახდილი თანხების დაბრუნებას ელოდება ასეულობით ოჯახი,

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაუმთავრებელი მშენებლობების კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია:

✓ გაუქმდეს მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ბოჭორიშვილის“ მიმართ გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებები და მისამართზე ქ. ახალისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები გაიცეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-ის და შპს რივერ საიდი 2023“-ის მიმართ.

არჩილ გორდულაძის განმარტებით, ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოადგენა:

1. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005“-სა და შპს „რივერ საიდი 2023“-ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, წარდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მისამართზე - ქ. თბილისის, ბოჭორიშვილის ქუჩა N37 „ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37 „ა“-ში არსებულ სამშენებლო ობიექტზე არსებული/შეთანხმებული პროექტის ფარგლებში მოხდეს მშენებლობის ნებართვის გაგრძელება ან საჭიროების შემთხვევაში, პროექტის კორექტირება ფართის უცვლელად. ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაანგარიშება მოხდეს შეთანხმებული პროექტის ფარგლებში მოქმედი რეგულაციების - „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების გათვალისწინებით;

ბ) იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა განხორციელდება არსებული შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, არსებული სამშენებლო პარამეტრების უცვლელად, სამშენებლო პროექტის დასრულებისათვის საჭირო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის (51.043.52 კვ.მ..) ნაწილის - 29,962.35 კვ.მ- გადატანა მოხდეს კომპანიის მიერ სამომავლოდ წარმოდგენილ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების გათვალისწინებით და გაანგარიშებით, რაც გულისხმობს 29, 962.35 კვ.მ. სასარგებლო (საცხოვრებელი და კომერციული) ფართის აივნების გარეშე;



გ) მისამართზე - ქ. თბილისის, ბოჭორიშვილის ქუჩა N37ა არსებულ სამშენებლო ობიექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემა (გაგრძელება) მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენისა და საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულების განხორციელების გარეშე;

დ) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. N37ა არსებულ სამშენებლო ობიექტზე „ბ“ და „გ“ ბლოკებთან მიმართებაში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ან/და კონსტრუქციების არსებობის შემთხვევაში, შპს რივერ საიდი 2023“მა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა/დასკვნები, გარდა, იმ შემთხვევისა, თუ ხორცილდება არსებული ბლოკ(ებ)ის დემონტაჟი და ახალი მშენებლობა;

ე) შპს „რივერ საიდი 2023“-მა, ალტერნატიულ მიწ(ებ)ის ნაკვეთზე ზემოაღნიშნული პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადატანილი სამშენებლო მოცულობის მშენებლობის განხორციელებისას, გადატანილი სამშენებლო მოცულობიდან სარეალიზაციო ფართის განკარგვა ან და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა უზრუნველყოფს:

ე.ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.37 „ა“-ში არსებულ სამშენებლო ობიექტზე, „ბ“ და „გ“ ბლოკების მშენებლობის დასრულებას (არანაკლებ შენობა-ნაგებობის კარკასულ მდგომარეობამდე მიყვანას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დასრულებულ მდგომარეობას. ამასთან, შპს „რივერ საიდი 2023“-ს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

ე.ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში არსებულ სამშენებლო ობიექტზე, „ა“ ბლოკის კეთილმოწყობას (მათ შორის, ფასადების და სადარბაზოების კეთილმოწყობას);

ვ) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (მათ შორის, შპს „რივერ საიდი 2023“-ს მიერ წარმოდგენილ ალტერნატიული მიწ(ებ)ის ნაკვეთზე, ამ განკარგულების შესაბამისად სამშენებლო მოცულობების გადატანის შემთხვევაში) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ნივთების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი



მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

2. დანართი NI-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის (ჯამურად სავარაუდოდ: 1,458,018.40 აშშ დოლარი და 48,400.00 ლარი) მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ საკომპენსაციო თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების გატარება.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი NI-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების, ასევე სხვა პირთა მიმართ ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის მიზნით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში:

ა) თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია ამ განკარგულების დანართი NI-ით და მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ მოხდეს (შესაბამისი თანხის დაზარალებულების მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა), მათ შორის, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეთივეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფისა“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან, გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, არ გამოიყენება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხების ის ნაწილი რაც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის, მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული ის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების მე-4 პუნქტით ასევე განისაზღვრა. რომ ქალაქ თბილისის



მუნიციპალიტეტის მთავრობაამ, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა, სხვა პირების მიმართ ფულადი სახით გადასაცემი ვალდებულებების დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში უზრუნველყოფს საკომპენსაციოს თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებას.

მომხსენებელმა შემაჯამებლად მიუთითა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია ზემომითითებული ღონისძიებები, ამასთან, ვინაიდან ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა N37ა (ს/კ: N01.10.13.023.0011) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ: 405411139) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 5 აგვისტოს N21.1097.123 განკარგულება და „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩა N37ა (ს/კ: N01.10.13.023.0011) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ: 405411139) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022წლის 10 თებერვლის N22.164.181 განკარგულება, აღნიშნულის შესაბამისად, გარდა, მითითებული ღონისძიებებისა, წარმოდგენილია, შემდეგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხიც:

ა) „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37ა (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ 405411139) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N362 განკარგულება;

ბ) „ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ 405411139) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N42 განკარგულება.

მომხსენების მიწურულს, არჩილ გორდულაძემ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების დანართად წარმოდგენილია „თანხის სახით გასასტუმრებელი პირების სია“, რაც მოიცავს სსით - 33 (ოცდაცამეტი) მოქალაქეს და მათთვის გადასაცემი თანხების ოდენობას.

აზრი გამოთქვას:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მიმართ არსებული იმგვარი ხასიათის ტექნიკური და სტილისტური ხასიათის რეკომენდაციებზე, რომლებიც ითვალისწინებს პროექტის სამართლებრივი საფუძვლებისა და სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

გადაწყვიტეს:



განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა და ცოტნე კობერიძემ „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ.

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა და უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

არჩილ გორდულაძე

სხდომის მდივანი

თამთა კაკოიშვილი